

ნათია ფიფია, ეკატერინე კობახიძე,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომაულ-იბერიული კონტაქტების საკითხისათვის (ამაზასპოსის ეპიტაფია)

ამაზასპოსის ეპიტაფია რომში აღმოჩენილი წარწერაა, რომელიც საქართველოს ისტორიის კვლევის თვალსაზრისით მეტად საინტერესო ძეგლს წარმოადგენს. ამ წარწერას რამდენიმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა, თუმცა, გარკვეული საკითხები მაინც დასაზუსტებელია. ერთ-ერთ პრობლემად რჩება წარწერის, ისტორიული კონტექსტი - როდის შეიქმნა ეს წარწერა - პირველ საუკუნეში და იგი ტრაიანუსის მამის აღმოსავლეთში აქტიურობას უკავშირდება თუ ტრაიანუსის პართულ ლაშქრობას, რომელშიც, როგორც ჩანს, იბერებიც იყვნენ ჩართული. არსებობს ასევე მოსაზრება, რომ ეს ეპიტაფია ანტონიუს პიუსის ეპოქაში უნდა იყოს შექმნილი და მის ფუნქციას მხოლოდ იბერიის მეფე ფარმანისთვის მისი რომში ვიზიტის დროს რომაულ-იბერიული კონტაქტების დემონსტრირება წარმოადგენდა.

ჩვენი აზრით, წარწერაში არსებული დეტალების გააზრება საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ წარწერის როგორც კონტექსტზე, ისე მისი შექმნის ეპოქაზე. ამაზასპოსის ეპიტაფიასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელია აგრეთვე ზოგადად რომის ისტორიის და რომაულ-იბერიული ურთიერთობების დინამიკის შესწავლა და ამ თვალსაზრისით გარკვეული კავშირების ძიება.

ამ კუთხით საინტერესოა რამდენიმე წარწერა, რომელიც იბერიის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, მათ შორის, დედოფალ ულპიას წარწერა. თავად ულპია იმპერატორ ტრაიანუსის საგვარეულო სახელს ატარებს, რაც, ჩვენი დაკვირვებით, გარკვეულწილად, ტრაიანუსის იბერიელებთან კავშირებზე მიანიშნებს. ნარატიული წყაროებიდან ისიც ცნობილია, რომ ტრაიანუსის მხარდამჭერები პართული ექსპედიციის დროს სწორედ იბერები და კიდევ ერთი ქართველური სახელმწიფო - მაქელონ-ჰენიოხთა სამეფოა. ჩვენი მოხსენება სწორედ ამ რთული საკითხის შესწავლას ისახავს მიზნად და წარმოგიდგენთ ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულთან დაკავშირებით.

Natia Phiphia, Ekaterine Kobakhidze,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Towards the Roman-Iberian Contacts (Epitaph of Amaspos)

Epigram of Amaspos is an inscription found in Rome, which is extremely valuable evidence for the study of Georgian History. Several scholarly articles were dedicated to it, however, some aspects still remained unidentified. First of all, the context of the inscription is interesting – when was it created – whether in the first century or not, and therefore is it connected to the activity of Trajan’s father in the East or to Trajan’s Parthian campaign, in which Iberians supported him? There is also an opinion that the context of the inscription should be the reign of Antonius Pius and, subsequently, supporters of this idea believe that the only function this inscription had was to demonstrate Roman-Iberian contacts with Pharasmanes I, who was visiting Rome during Antoninus Pius’s reign.

The analysis of the details of the inscription gives us the possibility to discuss the context, identify the era in which it was created and our report will try to deal with this issue. The answers to these questions should be found after analysing Roman history, Iberian-Roman relations and their dynamics, also after finding some possible links and connections of the time.

Several inscriptions found on the territory of Iberia are interesting from this point of view – Queen Ulpia’s inscription is among them. Ulpia had a female version of Emperor Trajan’s name – Ulpia, which points to the contacts between Iberians and Rome during Trajan’s reign. Narrative sources also indicate that not only Iberians, but also another Kartvelian state – Machelonian-Heniochi kingdom were Trajan’s supporters during his Parthian expedition. Our paper will try to solve these complicated issues and we will present our opinion about it.